დამტკიცებულია
სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს
2010 წლის 08 ნოემბრის №24 დადგენილებით

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების დებულება

1. ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება დაწესდა ხელოვნების უნივერსიტეტის წინაშე იმ პირთა განსაკუთრებული დამსახურების აღიარების ნიშნად, რომელმაც თავისი საქმიანობით ან ქმედებით ხელი შეუწყვეს უნივერსიტეტის პრესტიჟის ამაღლებას და კეთოლდღეობის ზრდას.

2. ბათუმის ხელვნების სასწავლო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით ენიჭება უცხოეთისა და ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო აღიარების მქონე მეცნიერებს, პოლოტიკურ და საზოგადო მოღვაწეებს, ბიზნესმენებს, კულტურისა და განათლების მუშაკებს. საპატიო დოქტორის წოდება ენიჭება, მხოლოდ იმ პირს, რომელიც კანდიდატურის წამოყენების მომენტში არ მუშაობს ხელოვნების უნივერსიტეტში (გამონაკლისი შეიძლება დაშვებული იქნას იმ პირთათვის, რომელსაც ადრე ეჭირა ბათუმის ხელოვნების სასწალო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობა).

3. კანდიდატურის წამოყენების უფლება აქვს ფაკულტეტის საბჭოს. წარდგენის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საბჭოს უმრავლესობა. საპატიო დოქტორის კანდიდატურის წამოყენების უფლებით სარგებლობს ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, რომელიც კანდიდატურას უშუალოდ წარუდგნს ფაკულტეტის საბჭოს. კანდიდატები წინასწარ შეფასებას გადიან აკადემიური საბჭოს მიერ შექმნილ ექსპერტთა კომისიაზე, რის შემდეგაც წოდების მინიჭების საკითხს განიხილავს და წყვეტს აკადემიური საბჭო კანდიდატურის წამოყენებიდან ორი კვირის ვადაში.

4. საპატიო დოქტორის დიპლომის გადაცემა ხდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომაზე, საზეიმო ვითარებაში. განსაკუთრებულ შემთხვევაში დიპლომის გადაცემა შეიძლება მოხდეს საპატიო დოქტორის ქვეყანაში უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დელეგირებული წევრის მიერ.

5. ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი სარგებლობს უნივერსიტეტის ყოველმხრივი თანადგომით, მას უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობაში.

აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით იგი შეიძლება დაესწროს აკადემიური საბჭოს

სხდომებსაც.

6. საპატიო დოქტორი სახელი, მისი ქვეყანა, ტიტულები, წოდება და მინიჭების თარიღი ჩაიწერება ხელოვენბის სასწავლო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორთა წიგნში და განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე. წიგნში, რომელიც ინახება რექტორთან, საპატიო დოქტორისათვის გამოყოფილი იქნება ცალკე გვერდი მისი დამსახურების აღნიშვნით, ავტოგრაფით, ფოტოსურათითა და, საპატიო დოქტორის თანხმობის შემთხვევაში, ჩანაწერით.